ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N4

14 დეკემბერი, 2017 წელი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
თ. ტალიაშვილი, ბ. დავითულიანი, ე. კუხიანიძე, ა. ლაშხი, მ. დარჩია, ქ. ჯოხაძე, ნ. ვაჩეიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. გიორგი ტყემალაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
2. ლევან ჯაფარიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. თარაშ შურღაია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. ლევან ჟორჟოლიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. ირაკლი ნადირაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. ელენე ოზაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. სოფიო ხუნწარია - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. ზაზა ცინაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. გაიოზ თალაკვაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
4. ლევან მიქავა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
5. გიგა გიგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი;
6. კახაბერ გვანცელაძე - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორი;
7. გურამ ნიკოლაშვილი - თბილისის მედიათეკების გაერთიანების ხელმძღვანელი;
8. ზურაბ წერეთელი - თბილისის ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელმძღვანელი;
9. მანანა წნორიაშვილი - თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების ფილიალების დირექტორი;
10. ნინო სანადირაძე - ქ. თბილისის მუნიციპალური მუზეუმების გაერთიანების დირექტორი;
11. თინათინ რუხაძე - ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი: ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.**

   მომხსენებელი: ბატონი გაიოზ თალაკვაძე

   თანამდებობა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

2. **საკითხი: ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 ივნისის №13-54 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკრებულოს დადგენილებების პროექტების განხილვა.**

   მომხსენებელი: ქალბატონი თამარ ტალიაშვილი

   თანამდებობა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

3. **საკითხი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის არჩევა;**

   მომხსენებელი: ქალბატონი თამარ ტალიაშვილი

   თანამდებობა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. მან სხდომის მონაწილეებს წარუდგინა დღის წესრიგი, რომელიც განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა.

მოისმინეს:

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მიმდინარე სხდომა გაერთიანებულ ფორმატში წარიმართებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიასთან ერთად. მან მადლობა გადაუხადა სხდომის მონაწილეებს მოსვლისთვის.

სხდომის მონაწილეებს, ასევე მიესალმა საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე ბატონი ერეკლე კუხიანიძე.

ქალბატონი თამარ ტალიაშვილის განმარტებით, ვინაიდან საკრებულოს ორივე კომისიის დღის წესრიგი მოიცავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვას, მიმდინარე სხდომა ამ საკთხზე მსჯელობით დაიწყებოდა. მანვე აღნიშნა, რომ თბილისის 2018 წლის ბიუჯეტი არის ფუნდამენტურად გააზრებული და შინაარსობრივად გათვლილია გრძელვადიან სტრატეგიულ შედეგებზე.

ქალბატონი თამარის განმარტებით, 2014 წელს თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივით, თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაკეთდა ჩანაწერი კულტურული მეწარმეობის ფესტივალის დაფუძნების შესახებ, რაც გულისხმობდა კრეატიული ინდუსტრიების ხელშეწყობას. დეპუტატის თქმით, პროექტი ვითარდებოდა და შედეგად, 2018 წლის ბიუჯეტში წარმოდგენილია პროგრამა ,,შემოქმედებითი თბილისი'', რომლის დაფინანსება დაახლოებით 400 000 ლარითაა განსაზღვრული და გულისხმობს თბილისის რეგიონის კულტურულ ცენტრად გარდაქმნის ხელშეწყობას, ასევე შემოქმედებითი მიმართულების განვითარებას; მისი თქმით, დედაქალაქს აქვს კომპლექსური კონცეფცია, რომელიც მიმართულია ნაბიჯ-ნაბიჯ პროგრესის მიღწევისკენ და მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია კულტურა. შესაბამისად, კულტურული ღონისძიებების მხოლოდ დანახარჯად წარმოდგენა, აბსოლუტურად მიუღებელია განათლებისა და კულტურის კომისიისთვის, ვინაიდან კულტურაში ჩადებული ინვესტიცია ოთხმაგ ამონაგებს იძლევა.

კომისიის თავმჯდომარემ აგრეთვე აღნიშნა, რომ წარმოდგენილ 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია თბილისის კულტურის სტრატეგიის შექმნა. მისი თქმით, კომისია 2014 წლიდან აქტიურად მუშაობდა აღნიშნულ საკითხზე და უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ბევრი საინტერესო შეხვედრა გაიმართა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დარგის ექსპერტებთან, მათ შორის, ესტონეთის კულტურის ყოფილ მინისტრთან და ექსპერტთან, რაგნარ სილთან, რომელიც ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო საქართველოს კულტურის სტრატეგიის 2025 შემუშავებისას.

ქალბატონი თამარ ტალიაშვილის თქმით, დედაქალაქის კულტურის სტრატეგიაშიც, ცენტრალური სტრატეგიის მსგავსად, გაწერილი იქნება ის მნიშვნელოვანი მიზნები და ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება კულტურის სფეროს განვითარებისაკენ.

ქალბატონი თამარის ცნობით, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტში შინაარსობრივად არის გააზრებული კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. მომავალი წლისთვის განხორციელდება ოთხი სახელოვნებო სკოლის რემონტი, მოხდება რამდენიმე მუნიციპალური მუზეუმის შენობის რეაბილიტაცია და რეექსპოზიცია.

დეპუტატის თქმით, ინფრასტრუქტურულ სამუშაოებთან ერთად, განხორციელდება შინაარსობრივი ცვლილებები. მათ შორის, სახელოვნებო სკოლებში სახელოვნებო კურიკულუმების და სასწავლო მასალის განახლება.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა ქ. თბილისის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს, ბატონ ზაზა ცინაძეს და აღნიშნა, რომ მისასალმებელია წარმატებული პროექტების დაფინანსების ზრდა, უფრო მრავალფეროვანი გახდა სკოლებში მოსწავლეთა ინიციატივების ხელშეწყობა, წარჩინებული სტუდენტების, საერთაშორისო ფორუმების მხარდაჭერა და ა.შ. ასევე, მომავალ წელს დაიწყება ათი ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა, დასრულდება უკვე მშენებარე საბავშვო ბაღების მშენებლობა. მისივე თქმით, საბავშვო ბაგა-ბაღებში მეთოდიკასა და სწავლებაზე დიდი აქცენტი გაკეთდება.

ბიუჯეტის მნიშვნელოვანი მიმართულებებისა და პროექტების მოკლედ მიმოხილვის შემდეგ, კომისიის თავმჯდომარემ, სიტყვა გადაეცა საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ერეკლე კუხიანიძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ გარემოს დაცვის კომისიას

ჰქონდა საუბარი მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსთან, ბატონ გიგა გიგაშვილთან, რის შედეგადაც ცალკეული საკითხები უფრო დაკონკრეტდა, ასევე, ისი თქმით, მისასალმებელია, რომ ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტით გაზრდილია გარემოს დაცვის საბიუჯეტო მუხლი, შესაბამისად გარემოს დაცვის კომისიას არ აქვს რაიმე შენიშვნა ბიუჯეტის პროექტის მიმართ. ხოლო, დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში, კომისია მზადა იქნება განიხილოს ისინი.

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების მიერ ბიუჯეტის პროექტის შესახებ მოკლე მიმოხილვის წარმოდგენის შემდეგ, სიტყვა გადაეცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსს, ბატონ გაიოზ თალაკვაძეს.

1. ბატონი გაიოზ თალაკვაძე მიესალმა სხდომის მონაწილეებს და თავისი აღნიშნა, რომ ის დეტალურად წარმოადგენდა ინფორმაციას თბილისის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

ბატონი გაიოზის განმარტებით, თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა 861 609 000 ლარით განისაზღვრა, რაც პირველად შემოტანილ პროექტთან შედარებით 46 398 000 ლარით არის გაზრდილი. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დამატებით 60 000 000 ლარი გამოყო თბილისის მუნიციპალიტეტისათვის. მოცემული დროისთვის მთავრობა განიხილავს საკითხს, რომ წელსვე 14 000 000 ლარი დაემატოს დედაქალაქის ბიუჯეტს, რომელიც აისახება ტრანსპორტის კომპანიის კაპიტალში კაპიტალური მიზნებისთვის, რაც მეტროს ვაგონების გაუმჯობესებას მოხმარდება.

საკითხთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრმა, ბატონმა ირაკლი ნადირაძემ, აღნიშნა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში ეს თანხა არ არის გათვალისწინებული. რაზეც ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ 14 000 000 ლარი წელსვე დაემატება ბიუჯეტს, 2018 წლის ბიუჯეტის მე-2 პროექტის გაზრდილი რაოდენობა, 46 398 000 ლარი, კი ორ ნაწილად იყოფა, საიდანაც 3 298 000 ლარით გაიზარდა გათანაბრებითი ტრანსფერი და 43 000 000 ლარი - მიზნობრივი ტრანსფერი, რომელიც პირდაპირ დააფინანსებს თბილისის განვითარების ფონდს ორბელიანის ქუჩისა და გუდიაშვილის მოედნის სამუშაოებისათვის.

ბატონი გაიოზის თქმით, პრიორიტეტების მიხედვით, ხარჯვითი ნაწილი შემდეგნაირადაა განაწილებული:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და აღდგენა - 130 531 300 ლარი;
- ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა/ესქპლუატაცია, ავარიული შენობების გამაგრება - 195 642 100 ლარი;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 88 089 300 ლარი;
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 2 990 000 ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 29 925 000 ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 189 539 500 ლარი;
- განათლება - 117 445 600 ლარი;
- კულტურა, სპორტი, ახალგაზრდულ საქმეთა საკითხები - 28 954 000 ლარი;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 3 158 300 ლარი;
- თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 75 333 300 ლარი.

საშემოსავლო გადასახადი დაგეგმილია 90 000 000 ლარით, რაც შემცირებულია 10 000 000 ლარით 2017 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტთან. ბატონი გაიოზის თქმით, გასულ წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეუვსო თბილისის მუნიციპალიტეტს აღნიშნული დანაკლისი და თუ 2018 წელსაც დაფიქსირდება დანაკლისი, მასაც ფინანსთა სამინისტრო შეავსებს.

ბატონი გაიოზით ინფორმაციით, საწარმოთა ქონებაზე გადასახადი შეადგენს 129 000 000 ლარს, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი - 16 000 000 ლარს, მიწაზე ქონების გადასახადი - 15 000 000 ლარს. გრანტები შეადგენს 389 329 300 ლარი, აქედან გათანაბრებითი ტრანსფერია 345 806 900 ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი - 460 000 ლარს, სპეციალური ტრანსფერი - 43 000 000 ლარს.

სხვა შემოსავლები შემდეგნაირადაა დაგეგმილი:

- საკუთრებიდან შემოსავალი - 15 071 200 ლარი;
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი (რომელიც წელს მიღებული ცვლილებებით გაიზარდა) - 64 000 000 ლარი;
- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის - 45 000 000 ლარი;
- სანქციები, ჯარიმები და საურავები - 26 500 000 ლარი და

ინფორმაციის წარმოდგენის შემდეგ, ბატონმა გაიოზმა აღნიშნა, რომ მზად იყო დეტალურ კითხვებზე გაეცა პასუხი.

აზრი გამოთქვა საკრებულოს წევრმა, ბატონმა ირაკლი ნადირაძემ. მისი თქმით, წარმოდგენილ ბიუჯეტზე ყველაზე ნაკლები შენიშვნა აქვს გამწვანების და ეკოლოგიის მიმართულებით, სადაც პირველად იზრდება საბიუჯეტო დაფინანსება. თუმცა, დიდი პროლემაა ლილოში არსებული ნაგავსაყრელის საკთხი და ითხოვა ინფორმაციის წარმოდგენა აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

მისივე თქმით, ბიუჯეტის პროექტით, გათვალისწინებულია ორი ახალი სპორტული კომპლექსის მშენებლობა და დაინტერესდა ადგილებით, თუ სად იგეგმება მათი მშენებლობა. ბატონი ირაკლის განმარტებით, ე.წ. გარეუბნებში, მაგალითად, გლდანში, სპორტული კომპლექსები უფრო განვითარებულია, ვიდრე სამგორის რაიონში, ვარკეთილში ან მასივში.

მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილემ, ბატონმა ზაზა ცინაძემ დასმულ კითხვაზე უპასუხა, რომ ამ ტერიტორიებზე კომპლექსების მშენებლობა გათვალისწინებულია 2018 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტებში.

ბატონმა ირაკლი ნადირაძემ ბიუროკრატიულ ხარჯებთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ თბილისის მერიაში 2013 წელს, გიორგი უგულავას მერობის პერიოდში, ბიუჯეტის შრომის ანაზღაურების მუხლში გათვალისწინებული იყო 47 000 000 ლარი, დანარჩენი შტატგარეშე მოსამსახურეები სუბსიდიის მუხლიდან ფინანსდებოდნენ. ეს სუბსიდიები, ძირითადად, მიემართებოდა საბავშვო ბაღებზე, ისევე როგორც წელს. დანარჩენი მსხვილი თანხები გათვალისწინებული იყო სამაშველო სამსახურზე, რომელიც შემდეგ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში გადავიდა. დანარჩენი სსიპ-ები და ა(ა)იპ-ები, რომლებიც ბიუჯეტიდან ფინანსდებოდნენ მოიცავდა შტატგარეშე მოსამსახურეების ხელფასებსაც -

დაახლოებით 15 000 000 ლარს. ჯამში, დაახლოებით 60-65 მლნ. ლარი იხარჯებოდა თბილისის მერიის შტატიან და შტატგარეშე მოსამსახურეებზე.

საკრებულოს წევრმა, ბატონმა ირაკლი ზარქუამ მიმართა ბატონ ირაკლი ნადირაძეს და ჰკითხა, იმ პერიოდზე ხომ არ საუბრობდა, როდესაც თბილისის მერიაში მოსამსახურეებად იყვნენ გაფორმებული მთამსვლელები.

ბატონმა ირაკლიმ უპასუხა, რომ იგი იმ პერიოდზე საუბრობს, რომელზეც ედავებოდნენ მაშინდელ მერიის ხელმძღვანელობას ბიუროკრატიული ხარჯების 20, 30, 40%-ით ზრდას. მისი თქმით, თუ 2013 წელს ბიუროკრატიული ხარჯებისთვის გათვალისწინებული 60-65 მლნ. ლარი ხელოვნურად იყო გაზრდილი, მაშინ მიმდინარე პერიოდში, როგორ ხერხდება, რომ მერიის ბიუჯეტში 80 000 000 ლარია გათვალისწინებული მხოლოდ შტატიან თანამშრომლებზე.

ბატონმა ირაკლი ნადირაძემ მიმართა მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსს, ქალბატონ სოფიო ხუნწარიას და აღნიშნა, რომ სამუსიკო სკოლებში ძალიან დაბალი ხელფასებია, მაგალითად, 80, 100, 136 ლარი და შესაბამისად დაინტერესდა, მერიის გეგმით საკითხის მოგვარების მიზნით.

კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა, აღნიშნა, რომ დასმული იყო რამდენიმე კითხვა, ესენია: ლილოს ნაგავსაყრელის; თბილისის მერიის ბიუროკრატიული ხარჯების; თბილისის საბავშვო ბაღების, რომელსაც მისი თქმით, ბატონმა ზაზა ცინაძემ პრაქტიკულად უკვე უპასუხა და ასევე, სპორტული კომპლექსების მშენებლობასთან დაკავშირებით. მან სთხოვა მერიის შესაბამის წარმომადგენლებს წარმოედგინათ ინფორმაცია ყველა დასმულ საკითხზე.

ბატონმა გიგა გიგაშვილმა, პასუხად, განმარტა, რომ აქამდე ლილოს ნაგავსაყრელი არ განიხილებოდა ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის კუთხით. თბილისის მერიის ახალ მმართველ გუნდს მიაჩნია, რომ ლილოს ნაგავსაყრელის პრობლემის მოგვარება არის გარემოს დაცვის საკითხი. ლილოს ნაგავსაყრელის დახურვასთან, ახალი გადამამუშავებელი საწარმოს გახსნასა და ნარჩენების გადამუშავების პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) მოლაპარაკება უკვე დაწყებულია გრანტისა და სესხის მიღების მიზნით. თბილისის მერია აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს კომპანიებთან, რომელსაც აქვს ლილოს ნაგავსაყრელის დახურვის პროგრამა. ამ ეტაპზე იგეგმება ორი ახალი ობიექტის მოწყობა აღნიშნულ ტერიტორიაზე, სანამ ახალი ნაგავგადამამუშავებელი საწარმო დაიწყებს ფუნქციონირებას. თუმცა, 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის გარემოს დაცვის მუხლში არ არის გათვალისწინებული შესაბამისი თანხა. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან მიმდინარე მოლაპარაკებებით დადგინდება, თუ რა ნაწილს აანაზღაურებს თბილისის მერია და შერჩეული კომპანია, რა პროცედურით განხორციელდება ნარჩენების გადაცემა და გადამუშავება. შესაბამისად, პროცესი მიმდინარეობს და 2018 წლის ბოლომდე აღნიშნული პრობლემა გადაწყვეტილი იქნება.

ბატონმა ირაკლი ნადირაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტით თბილისის ბაღების სააგენტოს ასიგნებები დაახლოებით 90 მლნ. ლარით განისაზღვრებოდა, სასწრაფო სამედიცინო დახმარება ფინანსდებოდა 15 000 000 ლარით, ამავე ოდენობის თანხა იყო გათვალისწინებული თბილისის განვითარების ფონდზე, სხვადასხვა ა(ა)იპ-ებსა და სსიპ-ებზე, დაახლოებით 15 000 000 ლარამდე იყო გათვალისწინებული, ასევე სამაშველო სამსახურზე, რომლის საბიუჯეტო მუხლი დღეს

აღარაა ბიუჯეტში, რადგან იგი შსს-ს შემადგენლობაში გადავიდა. იგი დაინტერესდა სუბსიდიებიდან გადიოდა თუ არა ხსნებული თანხები.

ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ საპასუხოდ აღნიშნა, რომ აღნიშნული თანხები სუბსიდიებიდან იხარჯებოდა, ბიუჯეტის მაჩვენებლების ჩაშლის (გადანაწილების) გამო, ის არ ჩანდა შრომის ანაზღაურებაში და სწორედ ამიტომ ფინანსდებოდა სუბსიდიებიდან.

ბატონმა ირაკლი ნადირაძემ ჰკითხა ბატონ გაიოზ თალაკვაძეს, თუ რამდენი იხარჯებოდა გიორგი უგულავას მერობის დროს შტატიანი და შტატგარეშე მოსამსახურეების ანაზღაურებაზე. მისი თქმით, შრომის ანაზღაურებაზე იხარჯებოდა 47 000 000 ლარი. იგი დაინტერესდა რამდენი მილიონი ლარი იყო გათვალისწინებული სუბსიდიების მუხლში, რომელიც შემდეგ შტატგარეშე მოსამსახურეების ანაზღაურების მუხლს დაემატა.

საკრებულო წევრმა, ბატონმა ირაკლი ზარქუამ უპასუხა, რომ ეს თანხა 30 000 000 ლარია.

ბატონმა ირაკლი ნადირაძემ იკითხა, თუ იქნებოდა წარმოდგენილი ამ თანხის დეტალურად ჩაშლილი ვარიანტი, რაზეც ბატონმა ირაკლი ზარქუამ საპასუხოდ განმარტა, რომ წარადგენს აღნიშნული ხარჯების შესახებ ინფორმაციას.

ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ მიმართა ბატონ ირაკლი ნადირაძეს და აღნიშნა, რომ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე წარუდგენდა აღნიშნული ხარჯების დეტალურ აღწერას.

სიტყვა გადაეცა თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსს, ქალბატონ სოფიო ხუნწარიას, იგი მიესალმა სხდომის მონაწილეებს. ის დაეთანხმა სხდომაზე აღნიშნულ მოსაზრებას, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლებში ანაზღაურება დაბალია. მისი თქმით, თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური სახელოვნებო სკოლებში აფინანსებს მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებს, ასევე, ფარავს ამ დაწესებულებების კომუნალურ გადასახადებს, თუმცა მათი დაფინანსების სქემა გადასახედია, მათ შორის, სახელფასო ნაწილში. ქალბატონი სოფიოს თქმით, ამ დროისთვის თბილისის მერიის კულტურის სამსახური აქტიურად მუშაობს აღნიშნულ საკთხზე.

ქალბატონ სოფიო ხუნწარიას მიმართა კომისიის წევრმა, ბატონმა ბექა დავითულიანმა, იგი დაინტერესდა თუ როდის შეიქმნება შესაბამისი ცენტრები, სადაც კულტურა და ფორმალური განათლება ერთად იქნება წარმოდგენილი. რასთან დაკავშირებითაც ქალბატონმა სოფიომ უპასუხა, რომ თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური აქტიურად მუშაობს ერთიანი სივრცის შექმნის საკითხზე. სამსახური მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურთან ერთად მუშაობს საკითხზე, თუ როგორ შეიძლება შეიქმნას ახალგაზრდული ცენტრები. ქალბატონმა სოფიომ განაცხადა, რომ მისი აზრით, აღნიშნული მნიშვნელოვანია, რადგან იგი დატვირთული იქნება მრავალფეროვანი პროგრამებით. თბილისის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში მუხლობრივად ასახულია პროგრამა „შემოქმედებითი თბილისი", რომელშიც გათვალისწინებული იქნება აღნიშნული საერთო სივრცეების შექმნის საკითხიც. მანვე დამატებით აღნიშნა, რომ მოკლე დროში კულტურის სამსახურს უწევს ბევრ საკითხზე მუშაობა, ამიტომ ერთი თვის ვადაში კონკრეტულ კითხვებზე უფრო კონკრეტულ პასუხების გაცემა იქნება შესაძლებელი.

კითხვა დასვა კომისიის წევრმა, ბატონმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა, რომელიც დაინტერესდა, თუ როგორ იხარჯება ხალხური რეწვის ფესტივალზე გამოყოფილი საბიუჯეტო თანხა.

აღნიშნულზე კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მოქმედებს სპეციალური პროგრამა ,,შემოქმედებითი თბილისი'' და ბატონ ნიკოლოზს განუმარტა, რომ შუძლია პროგრამის მისთვის წარდგენა.

ქალბატონმა სოფიო ხუნწარიამ სხდომის დამსწრეთ წაუკითხა ამ საბიუჯეტო პროგრამის ამონარიდი, რომლის მიხედვით, პროგრამის მიზანია შემოქმედებითი ინდუსტრიების ფინანსური გაძლიერება, კულტურის სფეროს ინდუსტრიალიზაცია, ახალგაზრდა ხელოვანების მხარდაჭერა. ამასთან, თავისუფალი საპროექტო განაცხადების განხილვისას, კულტურის საქალაქო სამსახური მხედველობაში მიიღებს იმ პროექტებს, რომლებიც მიზნობრივ აუდიტორიას, დედაქალაქის მაცხოვრებლებს, მისცემს შესაძლებლობას კულტურული ძალისხმევითა და სახელოვნებო შემოქმედებითი სფეროს გამოყენებით ხელი შეუწყოს დედაქალაქის ეკონომიკურ განვითარებას.

ქალბატონი სოფიოს განმარტებით, ქ. თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური განიხილავს წარმოდგენილ პროექტებს, შემდეგ შეიკრიბება შესაბამისი კომისია, რადგან პროექტის განხორციელება მხოლოდ კულტურის საქალაქო სამსახურის გადაწყვეტილება არ უნდა იყოს. საბოლოოდ, შეირჩევა საუკეთესო პროექტები. კულტურის სამსახურის უფროსის განმარტებით, ახალგაზრდულ ცენტრებში, სახელოვნებო სკოლებში, მედიათეკებში ჩატარდება გადამზადების კურსები.

ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, ასევე დაინტერესდა თუ რა ეტაპზე იყო მუნიციპალური მუზეუმების რეექსპონირების პროცესი, რასთან დაკავშირებითაც ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ პროცესი ეტაპობრივად მიმდინარეობს და შედეგად, ერთი კვირის წინ ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის განახლებულ მუზეუმში ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა რეექსპოზიციის შედეგები.

აღნიშნულზე საკითხზე დამატებით ისაუბრა ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა, ქალბატონმა ნინო სანადირაძემ. მისი თქმით, მუზეუმების რეექსპონირება პროექტირების სტადიაზეა, ასევე გათვალისწინებულია შესაბამისი საბიუჯეტო სახსრები. მუზეუმების გაერთიანების ცხრავე ფილიალში ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ფონდების რეინვენტარიზაცია, რის შემდეგადაც გამოვლინდა საფონდო დანაკლისები, აგრეთვე გამოვლინდა დაკარგული ექსპონატებიც. უკვე რამდენიმე თვეა საპროექტო ჯგუფი მუშაობს, თბილისში, ჩუბინაშვილის ქუჩაზე მდებარე ილიას სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტზე. კეთდება გეოლოგიური პროექტირება, კონსტრუქციული დაგეგმარება და ა.შ. მისი თქმით, მეორე პროექტი არის გალაქტიონის სახლ-მუზეუმის რეექსპოზიცია.

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ განხორციელდა მუნიციპალური მუზეუმების რეორგანიზაცია და დაიწყო მათი მოდერნიზება, რათა მაგალითად, მუნიციპალური მუზეუმებიც ჩაერთოს ტურისტულ მარშრუტებში და ა.შ. მისივე თქმით, თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომაზე არაერთხელ ყოფილა მსჯელობა მუზეუმების მოდერნიზების აუცილებლობასა და კომისიას შესაბამისი რეკომენდაციებიც აქვს გაწეული. დეპუტატმა, ასევე შესთავაზა სხდომის მონაწილეებს, ერთობლივად ეწვიონ მუზეუმებს არსებული მდგომარეობის ადგილზე შესწავლის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განათლებისა და კულტურის კომისიის დღევანდელი შემადგენლობა ახალია, შესაბამისად, კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია კომისიის მუშაობის ფორმატის შესახებ, რომლის თანახმად, განათლებისა და კულტურის კომისია ყოველ კვარტალში ისმენს ანგარიშებს სხვადასხვა საქალაქო სამსახურების და მუნიციპალური დაწესებულებისგან. მისი თქმით, გასულ თვეში კომისიამ სხდომაზე განიხილა ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ანგარიში, რომელიც კომპლექსური იყო და სამუშაო ფორმატით, ინტერაქტიულ რეჟიმში განიხილეს სხდომის მონაწილეებმა.

ბატონმა ირაკლი ზარქუამ მერიის ბიუროკრატიულ ხარჯებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 2016 წლის ბიუჯეტში აღნიშნული ხარჯები 95 000 000 ლარს შეადგენდა, 2017 წელს - 88 000 000 ლარს, ხოლო 2018 წლის ბიუჯეტში 82 000 000 ლარამდეა შემცირებული. მისი თქმით, კლების ტენდენცია მიანიშნებს, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის სტრუქტურები ოპტიმიზაციისკენ მიდის. მანვე მიმართა, ბატონ ირაკლი ნადირაძეს და აღნიშნა, რომ გასულ წლებში მერიის შტატებში მთამსვლელებად იყვნენ გაფორმებული ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტები, რაც ბატონმა ირაკლი ნადირაძემ დაუდასტურა.

ბატონმა ირაკლი ზარქუამ ასევე დაამატა, რომ წინა ხელისუფლების წლებში თბილისის მერიაში შექმნილი იყო სამეთვალყურეო საბჭოები, სადაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტები იყვნენ დასაქმებულები და მათი ანაზღაურება 2 500 ლარს შეადგენდა, ხოლო საშტატო ბიუჯეტის სახელფასო მუხლის 47 000 000 ლარის გარდა, თანხები გათვალისწინებული იყო სხვადასხვა სსიპ-ების და ა(ა)იპ-ებისთვის, რომელთა აღრიცხვაც არ ხდებოდა. ბატონი ირაკლი ზარქუას განმარტებით, მისი გათვლებით, ეს თანხა მინიმუმ 30 000 000 ლარი იყო.

ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ 2015 წლის ფაქტობრივი მონაცემით, შრომის ანაზღაურება 2015 წელს 42 000 000 ლარი იყო. სწორედ 2015 წლის შემდეგ მოხდა ბიუჯეტში სუბსიდიების ასახვა, რის შედეგადაც, 2016 წელს აღნიშნულმა ხარჯმა 96 000 000 ლარი შეადგინა. და მან მოიყვანა მაგალითად სასწრაფო სამედიცინო დახმარების თანამშრომლების შრომის ანაზღაურების შესახებ, მისი თქმით, მათმა ხელფასმა 20 000 000 ლარს გადააჭარბა. ბატონი გაიოზის თქმით, 2017 წელს შრომის ანაზღაურების თანხები 6.5 მლნ. ლარით შემცირდა და 87,8 მლნ. ლარი შეადგინა, 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში კი 2017 წლის მაჩვენებელი 5 მილიონი ლარით შემცირდა და 82 მლნ. ლარს შეადგენს.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა ჰკითხა ბატონ ირაკლი ნადირაძეს თუ ახსოვს რა ოდენობის დანამატებს იღებდნენ თბილისის ყოფილი მერი, მერის მოადგილეები და სამსახურის უფროსები. ასევე, ბატონმა გიორგი ტყემალაძემ სთხოვა ბატონ ირაკლი ნადირაძეს, ჩამოეთვალა მერიის იმ თანამშრომლების გვარები, რომლებიც შეუსაბამოდ დიდ ანაზღაურებას იღებდნენ.

ბატონმა ირაკლი ნადირაძემ საპასუხოდ, აღნიშნა, რომ ესენი იყვნენ ყანდიაშვილი, ბოდოკია, მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს თანამშრომლები.

ბატონმა ზაზა ცინაძემ აღნიშნა, რომ მერიის აღნიშნულ სამსახურში მუშაობენ ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ მაღალი კვალიფიკაცია და მათი ანაზღაურება უნდა იყოს შესაბამისი, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ისინი არ დათანხმდებიან აღნიშნულ სამსახურში მუშაობას.

ბატონმა ირაკლი ზარქუამ საუბარი გააგრძელა ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ. მან დადებითად შეაფასა დაგეგმილი აქტივობები, მათ შორის ის ფაქტი რომ ღონისძიებები ქალაქის მასშტაბით სამ ძირითად ლოკაციაზე იმართება და გარეუბნებსაც მოიცავს და არა მხოლოდ ცენტრალურ უბნებში, განსხვავებით წინა წლებისა.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკების გაერთიანების საბიუჯეტო მუხლი შეიცავს მცირე თანხას კონფერენციებისა და სემინარების ნაწილში. მისი თქმით, განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომებზე არაერთხელ იქნა დასმული საკითხი მუნიციპალური ბიბლიოთეკების მოდერნიზების აუცილებლობის შესახებ, რითაც ბიბლიოთეკები დებატების, განხილვების, მსჯელობის და ზოგადად, ცოცხალ ადგილებად უნდა გარდაიქმნას. შესაბამისად, კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკების საბიუჯეტო მუხლში კონფერენციების და სემინარების ნაწილში წლის განმავლობაში, შესაძლებლობის ფარგლებში, დაფინანსების დამატება მიზანშეწონილია.

ქალბატონი სოფიო ხუნწარია დაეთანხმა კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ უნდა მოხდეს მათი ინფრასტრუქტურის განახლება, რისთვისაც დაიგეგმება სხვადასხვა ღონისძიებები.

პირველ საკითხზე მსჯელობის დასასრულს, კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა, მადლობა გადაუხადა მერიის შესაბამის წარმომადგენელს ბატონ გიგა გიგაშვილს, ასევე მერის შესაბამისი სფეროს კურატორ მოადგილეს, ქალბატონ მაია ბითაძეს, 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში თემქის ხევის კვლევის პროექტზე თანხის გათვალისწინებისთვის. მისი თქმით, აღნიშნული კვლევა წინ გადადგმული ნაბიჯია არა მხოლოდ, ზღვის უბნის დასახლებაში ეკოლოგიური პრობლემის მოგვარებისთვის, არამედ მთლიანად დედაქალაქისთვის.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

თამარ ტალიაშვილმა, ერეკლე კუხიანიძემ, ირაკლი ზარქუამ, გაიოზ თალაკვაძემ, ირაკლი ნადირაძემ, გიგა გიგაშვილმა, ნოკილოზ ვაჩეიშვილმა, სოფიო ხუნწარიამ, ნინო სანადირაძემ, გიორგი ტყემალაძემ, ზაზა ცინაძემ, ბექა დავითულიანმა.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი საკრებულოსთვის განსახილველად გადაცემის შესახებ.

მომხრე _____ 6
წინააღმდეგი _____ 0
თავი შეიკავა _____ 1 (კომისიის წევრმა ბატონმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა)

გადაწყვიტეს: ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის, შესაბამისი სამსახურების მოსმენისა და მსჯელობის შედეგად, განათლებისა და კულტურის კომისიამ გადაწყვიტა, რომ იგი დადებითად აფასებს აღნიშნული ბიუჯეტის პროექტს, არ აქვს

არსებითი შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს შესაბამისი დადგენილების პროექტის გადაცემას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2. დღის წესრიგის მეორე საკითხი, თბილისის არქეოლოგიური საბჭოს გაუქმების შესახებ, წარმოადგინა ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა. მისი თქმით, წარმოდგენილი პროექტით, უქმდება თბილისის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური საბჭო, ვინაიდან მან შეასრულა წინა წლის ბიუჯეტით პროგრამითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული ფუნქციები. მისი თქმით, დაგეგმილი არქეოლოგიური სამუშაოები დასრულდა და შედეგად, 2018 წლის ბიუჯეტში აღარ იგეგმება თბილისის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები. დეპუტატის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტი, ასევე, ითვალისწინებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროექტების განხორციელების წესში არქეოლოგიური საბჭოს შესახებ ჩანაწერის გაუქმებას, თუმცა აქვე დაამატა, რომ არქეოლოგიური სამუშაოების მიმართულება, კვლავ დარჩება შესაბამისი საქალაქო სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებად სამომავლოდ გამოვლენილი გარემოებებიდან გამომდინარე. დამატებით, მან აღნიშნა, რომ თუ მომავალში გამოვლინდება ახალი ადგილები, რომელიც არქეოლოგიურად მნიშვნელოვანი იქნება, დედაქალაქი უზრუნველყოფს სამუშაოებს.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე, მოკლედ წარმოადგინა ინფორმაცია, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მიღებული შედეგების შესახებ. მისი თქმით, სამუშაოები ჩატარდა ოთხ ლოკაციაზე, გაფორმდა შესაბამისი მემორანდუმი ეროვნულ მუზეუმთან და აღმოჩენილი ექსპოზიციები გამოიფინა.

ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი დაინტერესდა, მერიის რომელი საქალაქო სამსახური ადევნებს თვალყურს არქეოლოგიურ სამუშაოებს, ასევე, არის თუ არა მერიაში აღნიშნული სპეციალიზაციის მქონე პირი დასაქმებული. რაზეც ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ კულტურის სამსახური მუდმივ კონტაქტს ინარჩუნებს შესაბამის სამეცნიერო წრეებთან. იგი ასევე, დაეთანხმა ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილის მოსაზრებას, რომ კულტურის სამსახურში უნდა იყოს შესაბამის კვალიფიკაციის შტატი, რადგან აღნიშნული ხელს უწყობს საინვესტიციო გარემოს, ტურიზმის განვითარებას და სხვ.

საკითხს გამოეხმაურა კომისიის წევრი, ბატონი ბექა დავითულიანი. მისი თქმით, მიზანშეწონილია თბილისის მერიამ თანამშრომლობა შესთავაზოს აღნიშნული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებს.

ბატონმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა აღნიშნა, საქართველოს კულტურის სამინისტროში არქეოლოგიური საბჭოს არსებობა მერიისთვის ვერ იქნება სიმშვიდის გარანტი, რადგან სამინისტროსთან ამ კუთხით კომუნიკაცია დროს მოითხოვს, ამიტომ ქალაქს უნდა ჰქონდეს შესაბამისი საშუალებები.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ ბატონი კახა კალაძის ინიციატივით თბილისის არქიტექტურის სამსახურში გატარდება რეფორმა, აგრეთვე, კულტურულ მემკვიდრეობაზე მუშაობს თბილისის განვითარების ფონდი. მისივე თქმით, ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილის მიერ აღნიშნული ცოცხალი ურთიერთობა აუცილებელია.

ბატონმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა დააზუსტა თავისი წინადადება და სხდომაზე დამსწრეთ განუმარტა, რომ საჭიროა თბილისის მერიაში ერთი არქეოლოგის დასაქმება.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:
თამარ ტალიაშილმა, ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა, სოფიო ხუნწარიამ, ბექა დავითულიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი - ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 ივნისის №13-54 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ” და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს დადგენილებების პროექტების დადებითად შეფასებისა და მათი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ.

მომხრე _____	6
წინააღმდეგი _____	0
თავი შეიკავა _____	1 (კომისიის წევრმა ბატონმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა)

განათლებისა და კულტურის კომისიამ აღნიშნული დადგენილების პროექტების განხილვისა და მსჯელობის შედეგად, გადაწყვიტა, რომ კომისიას არ აქვს არსებითი შენიშვნები და რეკომენდაციები ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 ივნისის №13-54 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მიმართ, დადებითად აფასებს მათ და მხარს უჭერს მათ გადაცემას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

3. დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით, კომისიის თავმჯდომარემ თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით გათვალისწინებულია თბილისის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის ვალდებულება. მოვალეობის შემსრულებელი ასრულებს კომისიის თავმჯდომარის ფუნქციებს, მაშინ, როდესაც კომისიის თავმჯდომარე იმყოფება მივლინებაში, მისი ავადმყოფობისას ან სხვა საჭიროებისას, როდესაც კომისიის თავმჯდომარე დროებით ვერ ასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობას.

მოვალეობის შემსრულებელი ასეთ შემთხვევებში, მათ შორის, წარუძღვება კომისიის სხდომებს და ხელს აწერს მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე წარმოდგენილია კომისიის წევრი, ქალბატონი ქეთევან ჯოხაძე. მისი თქმით, ქალბატონი ქეთი წინა მოწვევის საკრებულოში იყო თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, ასევე განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად, ქალბატონი ქეთევან ჯოხაძის არჩევის შესახებ.

მომხრე _____ 7
წინააღმდეგი _____ 0
თავი შეიკავა _____ 0

კომისიის წევრები ერთხმად დაეთანხმნენ გამოთქმულ მოსაზრებას და მხარი დაუჭირეს ქალბატონი ქეთევან ჯოხაძის კანდიდატურას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი